დამტკიცებულია
რექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის
№ 46/01 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე კოდექსი განსაზღვრავს და არეგულირებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევისათვის ადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს.

2. აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი ვრცელდება სტუდენტებზე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (შემდგომში-პერსონალი).

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის თითოეული პერსონალისთვის აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს მთავარ ღირებულებას. აკადემიური კეთილსინდისიერება გამოხატულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პერსონალის ყოველდღიურ საქმიანობაში: სწავლაში, სწავლებასა და კვლევაში.

2.აკადემიური კეთილსინდისიერება ეფუძნება პასუხისმგებლობის, პატივისცემის, ნდობის, სამართლიანობის და ღირსების შეგრძნებას აკადემიურ საქმიანობაში.

3. წინამდებარე კოდექსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის პერსონალისათვის. აკადემიური სივრცის თითოეული მონაწილე ვალდებულია დაიცვას კოდექსის პრინციპები. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა მკაცრად კონტროლდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

4. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და გაზიარებას უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების წევრებს შორის, რომლებიც თანხმდებიან, რომ საუნივერსიტეტო საქმიანობაში დაუშვებელია აკადემიური თაღლითობა, ტყუილი, პროფესიული გულგრილობა და პლაგიატი.

მუხლი 3. ტერმინტა განმარტება

1. აკადემიური თაღლითობა - სტუდენტის ან სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირის მიერ საკუთარი თავის წარმოსაჩენად გამიზნული, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა:

ა) აკადემიური ნაშრომის ან რაიმე სხვა სახის მასალის (სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ვიდეო-აუდიო მასალა და სხვ.) ავტორის ნებართვის გარეშე წვდომა, მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება;

ბ) შეფასების მისაღებად სხვა პირის ძველი ნაშრომის გამოყენება;

გ) დახმარების უნებართვოდ გაწევა და მიღება (კარნახი, ლექტორის მიერ სტუდენტისთვის საგამოცდო დავალების ნიმუშის მიწოდება და ა.შ.);

დ) სხვის მაგივრად ნაშრომის ან დავალების შესრულება რაიმე სახის სარგებლის მიღების მიზნით.

2. ტყუილი - განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება აკადემიური მოთხოვნების დაკმაყოფილების გასაადვილებლად ან სხვა პირებთან შედარებით უპირატესობის მოსაპოვებლად:

ა) ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის მოგონება შეფასების ან/და სხვა სარგებლის მისაღებად;

ბ) მონაცემების, წყაროების ან ინფორმაციის გაყალბება;

დ) გამოცდის გაცდენის მიზნით არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

ე) ოფიციალური მიმოწერის გაყალბება;

ვ) ავტორისათვის ისეთი აზრის მიწერა, რომელიც მას არ გამოუთქვამს.

3. პროფესიული გულგრილობა - აკადემიური პერსონალის მიერ პროფესიული ვალდებულებების უგულებელყოფა, რაც გამოიხატება დაუდევრობით ან/და გულგრილობით სტუდენტების ან კოლეგების მიმართ.

4. პლაგიატი (აკადემიური სიყალბე) - სხვისი იდეების ან ტექსტის გამოყენება საკუთარი სახელით, წყაროს მითითების გარეშე.

მუხლი 4. პლაგიატის სახეები

1. პირდაპირი პლაგიატი (წყაროდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერა ციტირების ან სხვა ტიპის მითითების გარეშე);
2. თვითპლაგიატი (საკუთარი მოსაზრებების გამეორება მითითების გარეშე);
3. მოზაიკური პლაგიატი (სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება, როდესაც არ ხდება ცალკეული ავტორების მითითება);
4. შემთხვევითი პლაგიატი (კვლევის საწყის ეტაპზე დაუდევრობა, თუმცა შედეგის გამო ისეთივე დარღვევაა, როგორიც გამიზნული პლაგიატი).

მუხლი 5. პლაგიატის თავიდან არიდება

1. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით, აუცილებელია:

ა) მიუთითოთ გამოყენებული ინფორმაციის ზუსტი წყარო;

ბ) აღნიშნოთ იმ ადამიან(ებ)ის დამსახურება, ვინც დაგეხმარათ წერილობითი ნაშრომის შესრულებაში;

გ) გამოყენებული ციტატები ჩასვათ ბრჭყალებში, წყაროს ზუსტი დასახელებით;

დ) არ გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე;

ე) ავტორის იდეების პარაფრაზირებისას პარაფრაზი განსხვავდებოდეს ორიგინალისგან ენობრივად, თუმცა იმეორებდეს ძირითად აზრს;

ვ) საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული მასალის ციტირებისას გააკეთოთ შესაბამისი მითითება.

მუხლი 6. პლაგიატის პრევენცია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი ახორციელებს თანმიმდევრულ პოლიტიკას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობადობის გასაზრდელად.

2. პლაგიატის პრევენციის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სავალდებულო საგნის სახით ისწავლება აკადემიური წერა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური წერის სასწავლო კურსის შეთავაზება ხდება სწავლების პირველ ან მეორე ეტაპზე, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე - სწავლების პირველ ეტაპზე.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე

1. სანქციები სტუდენტების მიმართ:

ა)გაფრთხილება; - ნაშრომის/საგამოცდო დავალების განმეორებით შესრულება;

ბ) ქულის დაკლება;

გ) შესაბამისი სასწავლო კომპონენტის უარყოფითი შეფასება (ნაშრომის განულება);

დ) სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება (F);

ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრით;

ვ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ზ) მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა.

2. სანქციები აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიმართ:

ა) საყვედური პირად საქმეში;

ბ) მონიტორინგის დაწესება მის საქმიანობაზე;

გ) შრომის ანაზღაურების დაკავება;

დ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის კომისია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის ფაქტებს, მიმართვის შემთხვევაში, შეისწავლის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი და ამზადებს შესაბამის დასკვნას.

2. აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების განხილვის დროს, კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს განსახილველი დარგის/მიმართულების აკადემიური პერსონალი. კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის კომისიის დებულებით. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ გამოყენებული იქნება შესაბამისი სანქცია. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ერთი ფაქტის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

მუხლი 9. აპელაცია

1. პირს, რომელიც არ ეთანხმება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის კომისიის დასკვნას, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღეში წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს საკითხის აპელაცია.

2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული: მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და არგუმენტები ნათლად ჩამოყალიბებული. ზოგადი ხასიათის აპელაცია არ განიხილება. გადაწყვეტილება აპელაციის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3.უნივერსიტეტის რექტორი სააპელაციო განაცხადის მიღებიდან 3 დღის ვადაში ქმნის დროებით სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის კომისიის წევრი. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 10. მონაცემების შენახვა და ანგარიშგება

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის შესახებ ინფორმაცია ინახება სტუდენტის ან აკადემიური პერსონალის პირად საქმეში. ჩანაწერები კონფიდენციალურია და მხოლოდ დაკავშირებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. მისი თანხმობის გარეშე, უნივერსიტეტს უფლება არ აქვს გასცეს ინფორმაცია მესამე პირებზე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№ 45/01 2021 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მოსწრების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის N 3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მოსწრების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი,
პროფესორი,
არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

დამტკიცებულია
რექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის
№ 45/01 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მოსწრების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში-უნივერსიტეტი) სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი (შემდგომში-მონონიტორინგი) ხორციელდება როგორც პროგრამის თითოეული კომპონენტის, ისე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მათი აკადემიური მიღწევების მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე.
2. მონიტორინგს ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ ახორციელებს დეკანატი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით, რისთვისაც გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო გეგმები, სილაბუსები და სხვა.
3. მონიტორინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტთა შეფასებების მოპოვების და ყოველსემესტრული საშუალო არითმეტიკული მეჩვენებლის (GPA-ს) გამოთვლის საშუალებას იძლევა.
4. სასწავლო კურსის/კურსების/მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება, რომელიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობას, სტუდენტის ინდივიდუალურ უნარებს და შედეგების დინამიკას, მიღებულ შეფასებებს, ყოველსემესტრულ საშუალო არითმეტიკულ მეჩვენებლებს (GPA-ს).
5. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:
   - პროგრამის და ცალკეული საგნების დონე;
   - სასწავლო კურსების თემების მიზანმიმართულობა;
   - გამოყენებული სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;
   - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები;

- სტუდენტების მომზადების დონე.

6. აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის გამოიყენება ე.წ. უწყვეტი ტიპის ნორმალური განაწილება (გაუსის განაწილება), რომლის მიხედვითაც შემთხვევითი სიდიდე კონცენტრირებულია ერთი მნიშვნელობის ირგვლივ. სტანდარტული განაწილების დიაპაზონებია:

- 10-10 % ნაწილდება A -ფრიადსა (91-100) და E-საკმარის შეფასებაზე (51-60);
- 25-25 % ნაწილდება B -ძალიან კარგს (81-90)D-დამაკმაყოფილებელ შეფასებაზე (61-70);
- 30 % ეთმობა C-კარგ შეფასებას -(71-80).

შენიშვნა: მაღალქულიანი A (ფრიადი) შეფასების და ყველაზე დაბალი E (საკმარისი) შეფასების მქონე სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %-ს. ყველაზე მეტ რაოდენობას უნდა შეადგენდეს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები და შეფასების მაჩვენებლები უნდა იყოს საშუალოდ 30 %. ამ დიაპაზონიდან გადახრისას უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგები და გატარდეს შესაბამისი ცვლილება, კერძოდ:

1. კრედიტების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მიხედვით;
2. თემების და თემატიკების ადეკვატურობა;
3. სწავლა/ სწავლების ადეკვატური მეთოდების გამოყენება;
4. შეფასების ადეკვატური მეთოდების გამოყენება;
5. სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში;
6. სასწავლო პროცესის ორგანიზება (პედაგოგის მომზადების დონე, კვალიფიკაცია, საგნისადმი მკაცრი ან ლოიალური დამოკიდებულება);
7. სხვა ფაქტორები.